

**მღებავის მოსამზადებელი
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**

I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: მღებავის მესამე საფეხურის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა.

II. პროფესიული განათლების საფეხური: მესამე

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მღებავის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

IV. პროგრამის მოცულობა: 45 კრედიტი (1 კრედიტი - 25 სთ), სულ 1125 საათი.

აქედან:

სასწავლო კომპონენტისათვის 452 საათი; დამოუკიდებელი მუშაობისათვის – 135 საათი; ტესტირებისა და გამოცდისათვის – 40 საათი; პრაქტიკის კომპონენტისათვის – 498 საათი.

V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: პროგრამაზე სასწავლებლად დაშვების მინიმალური პირობაა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საბაზო განათლების ან/და I და II საფეხურის მღებავის მქონე კვალიფიკაცია.

VI. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია მოამზადოს მესამე საფეხურის მღებავი, რომელსაც შეუძლია ფასადების შესაღებად ზედაპირების მომზადება და შეღებვა, საშპალერო სამუშაოების შესრულება, სამუშაოების დასრულების შემდეგ მოპირკეთებული ზედაპირების ვიზუალური შემოწმება და ოპერაციული კონტროლის განხორციელება, შეღებვის ხარისხის მაჩვენებლების საშუალებით დეფექტების განსაზღვრა. I და II საფეხურის კვალიფიკაციის მქონე მღებავის ხელმძღვანელობა.

VII. სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებზე დამყარებული ზოგადი ცოდნა და აცნობიერებს ძირითადი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს. მან უნდა იცოდეს მაღალ დონეზე შემდეგი საკითხები: შრომის უსაფრთხოება; შენობის ნაწილები და სამშენებლო ნახაზები; შენობის ნაწილები, სამშენებლო ნახაზები და ნახატები; სამღებრო და საშპალერო სამუშაოებისათვის საჭირო ძირითადი მასალები და მათი ფიზიკური, ქიმიური, მექანიკური თვისებები; პიგმენტების შერევისას ფერწარმოქმნის და სამღებრო შედგენილობის დამზადების წესები; სამღებრო სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ხელის ხელსაწყოებისა და სამარჯვების და მექანიზებული ხელსაწყოების სახეები და ექსპლუატაციის წესები; ძველი საღებავების მოფხეკვის, ზედაპირების გასუფთავების და გაოლიფების ტექნოლოგია; ზედაპირების დაგრუნტვის, შეფითხნის, მოხების, შესაღებად და შპალერის ასაკრავად ზედაპირების მომზადების, კედელსა და ჭერზე შპალერის გაკვრის სამუშაოების წარმოების ტექნოლოგიები; წყლიანი და უწყლო შედგენილობებით შიგა ზედაპირების შეღებვის ტექნოლოგია; ფასადების შეღებვის ხერხები; მომიჯნავე სპეციალობების (სარესტავრაციო, დეკორატიული) ძირითადი პრინციპები; კოლორის შერჩევა სამღებრო სამუშაოებისათვის; შეღებილი ზედაპირების ხარისხის შემოწმების მეთოდები და ოპერაციული კონტროლის ხერხები.</p>
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	<p>შეუძლია სტაბილურ გარემოში გარკვეული დამოუკიდებლობით შესასრულოს წინასწარ განსაზღვრული დავალებები ძირითადი მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების გამოყენებით. მას უნდა შეეძლოს მაღალ დონეზე შემდეგი სამუშაოების შესრულება: ძირითადი სამშენებლო მოწყობილობებისა და საზომი ინსტრუმენტების შერჩევა, გამოყენება, საჭიროების შემთხვევაში, მათი შეკეთება-დარეგულირება; ხის, შეღესილი, რკინაბეტონის, ლითონის და სხვა ზედაპირების მომზადება შესაღებად;</p>

	<p>წყლიანი და უწყლო საღებავების შედგენილობის მომზადება და შიგა ზედაპირების ხელის ინსტრუმენტებით და მექანიზებული წესით შეღებვა; ზედაპირების ზეთოვანი, ემალის საღებავებით და ლაქებით შეღებვა; ფასადების შესაღებად ზედაპირების მომზადება და შეღებვა; სამღებრო გამოყვანითი სამუშაოების შესრულება: პანელებისა და ფრიზების შეღებვა, ტრაფარეტით მოპირკეთება, ზედაპირის მოპირკეთება სატორსო ღრუბლებით, ლილვაკებით და შხეფით, ზედაპირების ფაქტურული მოპირკეთება, მინების გამქრქალება; შეღებვის ხარისხის მაჩვენებლების საშუალებით დეფექტების განსაზღვრა; საშპალერო სამუშაოების შესრულება: ბუბკოსა და წებოს მომზადება, ზედაპირების გაწებოვნება და მათზე ქალაღდის გაკვრა, შპალერის მომზადება დასაწებებლად, მათი კედელზე გაკვრა, ლინკრუსტისა და რეცხვადი შპალერებს გაკვრა; სამღებრო სამუშაოების წარმოება სხვადასხვა კლიმატურ პირობებში; სამღებრო სამუშაოების წარმოებისას გამოყენებული მასალების და ტექნოლოგიების გაუმჯობესების ხერხების, მეთოდებისა და საშუალებების მოძიება; სიმაღლეზე მუშაობისას შესაბამისი დამხმარე საშუალებების აღმართვა, მომზადება და გამოყენება; სამუშაოების დასრულების შემდეგ მოპირკეთებული ზედაპირების ვიზუალური შემოწმება და ოპერაციული კონტროლის განხორციელება.</p>
დასკვნის გაკეთების უნარი	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p>
კომუნიკაციის უნარი	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში. ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.</p>
სწავლის უნარი	<p>შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება. საინფორმაციო პროფესიული ტერმინოლოგიის, შენობებისა და ნაგებობების სახეების, მათი ცალკეული ნაწილებისა და კონსტრუქციული ელემენტების ტექნოლოგიის ძირითადი ს გამოყენების უნარი.</p>
ღირებულებები	<p>განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად. შეუძლია შრომის უსაფრთხოების და საწარმოო ჰიგიენის დაცვა, დამოუკიდებლად შეასრულოს წინასწარ დაგეგმილი სამუშაოები, გამოიყენოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ნორმატიული დოკუმენტაცია. განსაზღვროს სამუშაოს ხარისხი. შეუძლია II საფეხურის მღებავს გაუწიოს კონსულტაციის და ხელმძღვანელობა.</p>

VIII. სწავლების შედეგების რუქა

საგნები	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
სამღებრო სამუშაოები	X	X	X	X	X	X
ხაზვა	X	X				X
კომპიუტერული ტექნოლოგიები	X	X	X	X		
უცხო ენა	X		X	X		
პრაქტიკა	X	X	X	X	X	X

IX. სასწავლო გეგმა:

ს ა გ ა ნ ი	კრედიტების რაოდენობა	საათების განაწილება					საათების რაოდენობა	
		საკონტაქტო საათები						
		ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი შეფასება		
სამღებრო სამუშაოები	15	290	32			8	45	375
ხაზვა	2	36				8	6	50
კომპიუტერული ტექნოლოგიები	3	58				8	9	75
უცხო ენა	2	36				8	6	50
პრაქტიკა	23			199	299	8	69	575
სულ	45	420	32	199	299	40	135	1125

X. პროფესიული სტუდენტების სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- ლაბორატორიულ სამუშაოებს;
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- სასწავლო, საწარმოო პრაქტიკას;
- გამოცდების (შუალედურ და დასკვნითი ჩაბარებას).

XI. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

დადებით შეფასებად ჩაითვალოს:

- (A) – ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91 % და მეტი;
- (B) – ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 % და მეტი;
- (C) – კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 % და მეტი;
- (D) – დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 % და მეტი;
- (E) – საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 % და მეტი;

უარყოფით შეფასებად ჩაითვალოს:

- (FX) – ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 %, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) – ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 40 % და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, უარყოფითი შეფასების შემთხვევაში, გავიდეს დამატებით გამოცდაზე (დასკვნით გამოცდაზე) არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება
- დასკვნითი შეფასება

შეფასების მეთოდი:

- ტესტი;
- ზეპირი გამოკითხვა;
- ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი;
- დაკვირვება და დემონსტრირება.

XII. სწავლების მეთოდები:

თეორიული სწავლება;

პრაქტიკული მეცადინეობა;

ლაბორატორიული სამუშაო;

სასწავლო პრაქტიკა;

საწარმოო პრაქტიკა.

XIII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ:

კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
სამღებრო სამუშაოები/პრაქტიკა	თურმანიძე თემური	დოქტორი
	გოგელია კონსტანტინე	ინჟინერ-მშენებელი
ხაზვა	ინაშარიძე ქეთევანი	დოქტორი
კომპიუტერული ტექნოლოგიები	ჩავლეშვილი გოჩა	დოქტორი
უცხო ენა	ბაბაიანი დიმიტრი	ინგლისური ენის სპეციალისტი

XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ:

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის პროფესიული სწავლებისათვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

სამუშაოებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღი, თვალსაჩინოებანი და სადემონსტრაციო მასალა (პრეზენტაციები და ვიდეოფილმები); (საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის შენობა; მისამართი: ბათუმი, ფიროსმანის ქ. № 12).

XV. საწარმოო სწავლება/საწარმოო პრაქტიკა

საწარმოო პრაქტიკა განხორციელდება სწავლების პროცესში ქვემოთ ჩამოთვლილი კომპანიების სამშენებლო ობიექტებზე:

- ქ. ბათუმი. შ.პ.ს. „ორბი-ანაგი“, მემორანდუმი ს.ს.ი.პ. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ;
- ქ. ბათუმი. შ.პ.ს. „სითი-პარკი“, მემორანდუმი ს.ს.ი.პ. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ;
- ქ. ბათუმი. შ.პ.ს. „მონოლითი-2005“, მემორანდუმი ს.ს.ი.პ. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ;
- ქ. ბათუმი. შ.პ.ს. „გუმბათი-1“, მემორანდუმი ს.ს.ი.პ. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

XVI. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სამოქალაქო მშენებლობის ტექნიკოსის IV საფეხურის მღებავის სპეციალობაზე.